

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს  
რეგლამენტი**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 უმაღლესი საბჭოს წევრისაგან.“.

**2. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ;“.

„ვ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს მუშაობაში;“.

**3. რეგლამენტის მთელ ტექსტში სიტყვა „კომიტეტი“ შეიცვალოს სიტყვით „კომისია“.**

**4. მე-10 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს მუშაობაში (პლენარულ და კომისიის სხდომებში), შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოარკვევს გაცდენის მიზეზს და თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს შესაბამის დასკვნას.“.

„3. თუ უმაღლესი საბჭოს წევრმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, ან სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში გამოითხოვს ამ ფაქტის დამადასტურებელ საბუთებს, ამოწმებს მათ ნამდვილობას და ამზადებს შესაბამის დასკვნას.“.

**5. მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8. უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს უმაღლესი საბჭოს წევრის მოწმობა და ატარებს სამკერდე ნიშანს, რომელთა ნიმუშებს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.“.

## 6. რეგლამენტის მესამე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „თავი III უმაღლესი საბჭოს კომისიები

#### მუხლი 19

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის, ასევე ამ ორგანოების მიერ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის მიზნით უმაღლესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის კომისიებს.

2. კომისიების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. კომისიების უფლებამოსილება, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ რეგლამენტითა და სხვა აქტებით.

#### მუხლი 20

1. უმაღლესი საბჭოს კომისიებია:

- ა) აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა;
- ბ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა;
- გ) საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა;
- დ) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა;
- ე) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და ბიუროს უფლება აქვთ სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენონ ახალი კომისიის შექმნის ან/და არსებულის გაუქმების საკითხი. უმაღლესი საბჭო აღნიშნულ საკითხს წყვეტს ამ მუხლის პირველ პუნქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის გზით, რეგლამენტის მიღებისათვის დადგენილი წესით.

#### მუხლი 21

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში. კომისიებში წევრთა რაოდენობასა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია (უმაღლესი საბჭოს პირველ პლენარულ სხდომაზე - დროებითი სამანდატო კომისია) და დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 უმაღლესი საბჭოს წევრით. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია იყოს ერთი კომისიის შემადგენლობაში. უმაღლესი საბჭოს წევრის მეორე კომისიაში გაწევრიანების საკითხს განსაზღვრავს მისი ფრაქცია პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებით დადგენილი დამატებითი ადგილების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ შემთხვევებში, უმაღლესი საბჭოს მიერ კომისიაში ფრაქციისათვის კომისიის წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში, ფრაქცია უმაღლესი საბჭოს წევრის სურვილისა და კომისიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს კომისიის წევრებს, რის შესახებაც აცნობებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას, რომელიც

2 კვირის ვადაში უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ.

4. უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული კომისიების შემადგენლობაში, კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებში, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს მიერ კომისიების არჩეულ შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელება ხდება უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების შეტანით.

5. უმაღლესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც არ შედიან, არც ერთ ფრაქციაში, მათი სურვილისა და კომისიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით, შესაბამის კომისიაში ირჩევენ უმაღლესი საბჭო.

6. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე არ შეიძლება იყოს კომისიის შემადგენლობაში.

## **მუხლი 22**

1. კომისიის თავმჯდომარეს უმაღლესი საბჭოს წევრთაგან რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით ირჩევენ უმაღლესი საბჭო.

2. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაცრიან ჯგუფს.

3. კანდიდატის დასახელების შესახებ განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას დასახელების რიგითობის მიხედვით.

4. კანდიდატის დასახელების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს კანდიდატთა სიას. კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

5. კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვალება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

6. თუ არჩევნებში ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერ აირჩა, მაშინ ტარდება ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელახალი არჩევნები.

7. თუ არჩევნებში ორზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ ტარდება არჩევნების მომდევნო ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ მომდევნო ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატურას. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას ტარდება ხელახალი კენჭისყრა. ყოველი კენჭისყრის წინ კანდიდატი უფლებამოსილია მოხსნას თავისი კანდიდატურა.

## **მუხლი 23**

1. კომისიის თავმჯდომარე შეიძლება გადააყენოს უმაღლესმა საბჭომ, თუ ამას სათანადო წერილობითი დადასტურებით მოითხოვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბიურო, უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედი.

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შეიძლება გადააყენოს კომისიამ, თუ ამას სათანადო წერილობითი დადასტურებით მოითხოვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,

ბიურო, შესაბამისი კომისიის წევრთა უმრავლესობა, უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესუთედი.

3. კომისიის თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის – კომისიის წევრთა უმრავლესობა.

4. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელიც მას გააცნობს უმაღლეს საბჭოს. კომისიის თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება განცხადების ბიუროსათვის წარდგენის დღიდან. უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს კომისიის თავმჯდომარის გადადგომის განცხადებას, რაც ფორმდება პლენარული სხდომის საოქმო ჩანაწერით.

5. კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისიის ახალი თავმჯდომარე ამ რეგლამენტის 22-ე მუხლით დადგენილი წესით აირჩევა უახლოეს პლენარულ სხდომაზე.

### **მუხლი 24**

კომისიის წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან. იგი კომისიის შემადგენლობიდან გასულად ჩაითვლება, შესაბამისი განცხადების კომისიაში წარდგენის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაბამისი უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა ან/და აირჩა კომისიის წევრისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე.

### **მუხლი 25**

1. კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე არჩევიდან 3 დღის ვადაში. სხდომის ოქმი წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

2. პირველი საორგანიზაციო სხდომა შეიმუშავებს კომისიის დებულებას და ფარული კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს. კომისიის დებულება დასამტკიცებლად წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა ამ რეგლამენტის 22-ე მუხლის მე-4–მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით და იგი არჩეულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს ან კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

### **მუხლი 26**

1. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
- ბ) ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებებს, დასკვნებს, სხდომის ოქმებს;
- გ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიის აპარატს;
- დ) საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე, უმაღლეს საბჭოს წარუდგენს წერილობით ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ე) წარმოადგენს კომისიას უმაღლეს საბჭოში და მის ფარგლებს გარეთ;
- ვ) ასრულებს ამ რეგლამენტით და სხვა აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარის არყოფნის, გადადგომის ან მისი როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას;

ბ) თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ცალკეულ დავალებებს.

## **მუხლი 27**

კომისიის წევრს უფლება აქვს თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხებზე გამოთქვას შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები, აირჩიოს და არჩეულ იქნეს კომისიის თანამდებობებზე, ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია.

## **მუხლი 28**

1. კომისია თავის კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;

ბ) მონაწილეობს უმაღლეს საბჭოში შემოსული კანონპროექტების განხილვა-გადამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს;

გ) განიხილავს უმაღლესი საბჭოს მიერ ასარჩევ, დასამტკიცებელ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს და დასკვნას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს;

დ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;

ე) აკონტროლებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

ვ) ახორციელებს კონტროლს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

ზ) წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;

თ) სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

ი) ახორციელებს ამ რეგლამენტით და სხვა აქტებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

2. კომისია, როგორც წესი, კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების და ინიციატივების საფუძველზე შეიმუშავებს და კომისიის სხდომაზე იღებს სამუშაო გეგმას, რომელშიც ასევე ასახული უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, შემოსული წინადადებები და საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები.

## **მუხლი 29**

1. უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები და მთავრობის წევრები კომისიის მოთხოვნით ვალდებული არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. საიდუმლოების შემცველი ცნობების წარდგენის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

2. კომისია განიხილავს თავისი კომპეტენციის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ პირთა თანამდებობაზე არჩევის, დამტკიცების ან დანიშნაზე თანხმობის მიცემის საკითხებს, რის თაობაზეც ამზადებს დასკვნას და წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

## **მუხლი 30**

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად გასატან ყველა საკითხს განიხილავს შესაბამისი კომისია.

2. კომისიები, მათ გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით, შეისწავლიან და აანალიზებენ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას, იღებენ ზომებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ხარვეზების

აღმოფხვრის მიზნით ამზადებენ წინადადებებს კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ.

### მუხლი 31

1. კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მისი მოადგილე. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა უმაღლესი საბჭოს სასესიო პერიოდში (სესიებს შორის პერიოდში კომისია არ არის ვალდებული გამართოს კომისიის სხდომა). კომისია ვალდებულია უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს ბიუროს დავალებით, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა და განიხილოს საკითხი.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის წევრები ვალდებული არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ წევრს დროებით არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში, მის დამნიშვნელ ფრაქციას უფლება აქვს აღნიშნული წევრი დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც ფრაქცია წერილობით აცნობებს შესაბამის კომისიას. ფრაქციის მიერ აღნიშნული უფლება ფრაქციის თითოეული წევრის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი პლენარული სესიის განმავლობაში არა უმეტეს სამჯერ. კომისიის წევრს, რომლის უფლებამონაცვლე ესწრება კომისიის სხდომას, შესაბამისი კომისიის სხდომა გაცდენილად არ ეთვლება.

5. კომისიის სხდომის მასალები ურიგდებათ და ინფორმაცია მისი დღის წესრიგისა და თარიღის შესახებ ეცნობება კომისიის წევრებს, როგორც წესი სხდომამდე არა უგვიანეს 1 დღისა.

6. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ღია კენჭისყრის დროს გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა, გარდა ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საკადრო საკითხებზე კენჭისყრა ფარულია.

7. კომისიის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომისიის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნის ან დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა უმრავლესობით.

8. კომისიის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისია ატარებს დახურულ სხდომას. დახურული სხდომის გამართვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უმაღლესი საბჭოს წევრებს, ასევე კომისიის გადაწყვეტილებით - სხვა პირებსაც.

9. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ უმაღლესი საბჭოს წევრები, მთავრობის წევრები და მოწვეული სტუმრები. სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულნი იქნენ საზოგადოებრიობის დაინტერესებული წარმომადგენლები.

10. კომისია იღებს დასკვნას, რეკომენდაციას, წინადადებას, რომელიც როგორც წესი, იგზავნება დანიშნულებისამებრ. კომისიის თავმჯდომარე კომისიის შიდაორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს განკარგულებებს.

11. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ბიუროს ან კომისიების გადაწყვეტილებით, შეიძლება ჩატარდეს კომისიების ერთობლივი სხდომა. ერთობლივ სხდომაზე

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

### მუხლი 32

1. კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება უმაღლესი საბჭოს კომისიის აპარატი, რომელიც წარმოადგენს კომისიისადმი დაქვემდებარებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) ასრულებს კანონმდებლობით, კომისიის, უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომისიის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომისიის აპარატის შემადგენლობაში შედიან კომისიის აპარატის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე და სპეციალისტები.

4. კომისიის აპარატის უფროსი:

ა) კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომისიის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომისიის აპარატის მუშაკთა შორის ანაწილებს ფუნქციებსა და დავალებებს, პასუხისმგებელია კომისიის აპარატისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებაზე, კოორდინაციას უწევს კომისიის აპარატსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობებს;

ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას;

გ) უზრუნველყოფს კომისიის აპარატის მუშაკთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის დავალებებს.

5. კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე უზრუნველყოფს:

ა) კომისიის თავმჯდომარის და კომისიის მიერ გამართული სხდომების, ღონისძიებების და საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;

ბ) კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის საქმიანობის შესახებ მასსმედის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თავმოყრასა და სისტემატიზაციას;

გ) კომისიის სხდომების, შეხვედრების, ღონისძიებების გამართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;

დ) კომისიის თავმჯდომარისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის გამართვისას დახმარების გაწევას: ბიუროს მასალების მიწოდებას, ინიციატივების დარეგისტრირებას.

6. კომისიის აპარატის სპეციალისტები:

ა) მუშაობენ კომისიის დებულებით განსაზღვრულ დარგობრივ მიმართულებათა საკითხებზე; მონაწილეობენ კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნებისა და მოხსენებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) აღწესდებენ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

7. კომისიის აპარატის უფროსს და კომისიის აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს, შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო

სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

### **მუხლი 33**

კომისიებთან, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომელთა დებულებებს შეიმუშავენ კომისია და ამტკიცებს ბიურო. საბჭოში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ შესაბამისი დარგის ექსპერტ-კონსულტანტები. საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე. საკუთარი ან კომისიის წევრის წარდგინებით. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით საბჭოს წევრ ექსპერტ-კონსულტანტებს კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად კანონით დადგენილი წესით გაუფორმოს ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.“.

#### **7. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ფრაქციის შექმნის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს არანაკლებ 3 წევრს, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო უმაღლესმა საბჭომ.“.

#### **8. 35-ე მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ფრაქცია შექმნილად ითვლება მასში გაერთიანებული არანაკლებ 3 უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების მიღების მომენტიდან. ახლად შექმნილი ფრაქციის რეგისტრაცია სავალდებულოა.“.

„8. თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა 3-ზე ნაკლები უმაღლესი საბჭოს წევრი, ფრაქცია გაუქმებულად ჩაითვლება, რასაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს სხდომაზე აცნობებს უმაღლეს საბჭოს.“.

#### **9. 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ფრაქციის წევრის გარიცხვის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს უმაღლესი საბჭოს ბიუროს. თუ ფრაქციაში დარჩა 3-ზე ნაკლები წევრი, უმაღლესი საბჭოს ბიურო ფრაქციის გაუქმების შესახებ უახლოეს სხდომაზე აცნობებს უმაღლეს საბჭოს.“.

#### **10. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 41.

უმაღლესი საბჭოს მიმდინარე საქმიანობის ორგანიზების მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო (შემდგომში - ბიურო).“.

#### **11. 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაცრიან ჯგუფს.“.

#### **12. 48-ე მუხლის „გ“, „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) იწვევს და თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში თავის მოადგილეს ავალებს ამ უფლებამოსილების განხორციელებას;“.

„დ) ბრძანებით განსაზღვრავს თავისი მოადგილის საქმიანობის სფეროებს, აძლევს მას ცალკეულ დავალებებს;“.

„ლ) რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას წარუდგენს თავისი მოადგილის კანდიდატურას;“.

**13. 52-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 52.

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

2. თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს მისი მოადგილე, თუ უმაღლესმა საბჭომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო.

3. თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია, თავის მოადგილეს დაავალოს თავისი უფლებამოსილებათა განხორციელება, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას უმაღლესი საბჭო დადგენილებით ავალებს მის მოადგილეს.

4. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას, უმაღლესი საბჭო დადგენილებით ავალებს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარისათვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების დაკისრებამდე, უმაღლესი საბჭოს სხდომას უძღვება უმაღლესი საბჭოს უხუცესი წევრი.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ ფრაქციას და უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაცრიან ჯგუფს.“.

**14. მე-8 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თავი VIII.

**უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე“.**

**15. 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 53.

1. უმაღლესი საბჭო ამ რეგლამენტის 47-ე მუხლით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავის წევრთაგან ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაცრიან ჯგუფს.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურების დასახელების შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც რეგლამენტით დადგენილი წესით საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

4. თუ ამ მუხლის შესაბამისად წარედგინილა კანდიდატმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, მისი წარდგენის უფლების მქონე სუბიექტებს (უმაღლესი საბჭოს წევრებს) უფლება აქვთ წარადგინონ ახალი კანდიდატი. თუ ვერც მან მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ორივე კანდიდატს ერთად ეყრება კენჭი და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების მეტ რაოდენობას, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა. თუ ორივე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, არჩეულად ჩაითვლება პირველად წარდგენილი კანდიდატი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ სუბიექტებს უფლება აქვთ გამოიწვიონ მათი წარდგენით არჩეული უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. განცხადება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გამოწვევის თაობაზე წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს

უმაღლესი საბჭოს ბიუროსა და უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომას. უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს აღნიშნულ ფაქტს. ამ ფაქტის ცნობად მიღებისთანავე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს შეუწყდება უფლებამოსილება, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

6. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

**16. 57-ე მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა იმართება არჩევნების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.“.

**17. 61-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს;“.

**18. 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საგაზაფხულო სესია იხსნება მარტის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის მესამე ხუთშაბათს, ხოლო საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე ხუთშაბათს. უმაღლესი საბჭოს სესია იხსნება და დახურულად ცხადდება პლენარულ სხდომაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში (დღისწესრიგის დამტკიცება, საკანონმდებლო პროცედურის დაწყება და ა.შ.) – უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს დასაბუთებული გადაწყვეტილებით.“.

**19. 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. უმაღლესი საბჭოს არჩევნების წელს არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში, როგორც წესი, უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები არ ტარდება. ამ პერიოდში, თუ იგი ემთხვევა მორიგი სესიის პლენარულ სამუშაო ციკლს, საჭიროების შემთხვევაში პლენარულ სხდომებს იწვევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით. სხვა შემთხვევაში პლენარული სხდომა მოიწვევა და ტარდება რიგგარეშე სხდომისათვის ამ რეგლამენტის 64-ე მუხლით დადგენილი წესით.“.

**20. 64-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მთავრობის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, სესიებს შორის პერიოდში იწვევს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას - უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან ორი დღის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია მომდევნო ორი დღის განმავლობაში შეიკრიბოს და შეუდგეს მუშაობას.“.

**21. 66-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, როგორც წესი, რიგგარეშე განიხილება, მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტები მათივე მოთხოვნის საფუძველზე.“.

**22. 67-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. თუ რეგისტრაციის შედეგი ეჭვს იწვევს, სხდომის თავმჯდომარეს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაცრიან ჯგუფს უფლება აქვთ მოითხოვონ

რეგისტრაციის შედეგების შემოწმება რეგისტრაციაში გატარებულ პირთა სიის ამოკითხვით. ხელახალი რეგისტრაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭო იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საექვო ხმების რაოდენობა ცვლის რეგისტრაციის საბოლოო შედეგს.“.

**23. 69-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უმაღლესი საბჭოს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. თუ იგი არ წარმართავს სხდომას, სხდომის თავმჯდომარეობა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზეპირი ან წერილობითი ბრძანებით დაევალება მის მოადგილეს.“.

**24. 76-ე მუხლის მე-2–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს კანონპროექტები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ, ასევე კანონპროექტები მათში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

3. მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს ფრაქცია, უმაღლესი საბჭოს კომისია არის უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი, ასევე პროექტი რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.“.

**25. 79-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების პროექტები და წარდგენილი უნდა იქნეს ერთიანი საკანონმდებლო პაკეტის სახით.“.

**26. 95-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია/კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი.“.

**27. 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი წესით, 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.“.

**28. 102-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 102.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის უფლება აქვს მთავრობის თავმჯდომარეს, უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 20 000 ამომრჩეველს.“.

**29. 105-ე მუხლის მე-12 და მე-14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„12. თუ შემოწმების შედეგად ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა 20 000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, ამომრჩეველთა ინიციატივით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელება უარყოფილად ითვლება.“.

„14. ამომრჩეველთა ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნა, 20 000 ამომრჩეველის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი და ხელმოწერები წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელიც ამ მასალებს წარუდგენს უმაღლეს საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომას განსახილველად.“.

**30. 105<sup>1</sup> მუხლის მე-5–მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. არანალებ 20 000 ამომრჩეველის ინიციატივით წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტზე, უმაღლეს საბჭოში, მომხსენებლად გამოდის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ან საინიციატივო ჯგუფის უფლებამოსილი წამომადგენელი, ხოლო თანამომხსენებლად – წამყვანი კომისიის წარმომადგენელი. ამომრჩეველის ინიციატივით წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტზე მომხსენებლად დანიშნული პირი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს ან მთავრობის წევრი ან მათი წარმომადგენელი.

6. უმაღლესი საბჭო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს განიხილავს კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“.

**31. 110-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. მთავრობის თავმჯდომარე ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, არა უგვიანეს 1 ნოემბრისა, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებით.“.

**32. 115-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 5 წევრის არჩევა ხორციელდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით, ამ რეგლამენტით საკადრო საკითხების გადაწყვეტისათვის დადგენილი პროცედურებით, ფარული კენჭისყრით.“.

**33. 116-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 116.

უმაღლესი საბჭოს კომისია, ფრაქცია და სამკაცციანი ჯგუფი უფლებამოსილია მოითხოვოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრების არჩევამდე მათი პლენარულ სხდომაზე მოწვევა.“.

**34. 123-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3. საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნის მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, კომისია, ფრაქცია ან დეპუტატთა სამკაცციანი ჯგუფი უფლებამოსილია სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენოს წინადადება საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნის თაობაზე. უმაღლესი საბჭო აღნიშნული წინადადების მიზანშეწონილობას კენჭს უყრის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ წინადადება მიღებულია, მაშინ კენჭისყრაზე დგება საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი.“.

**35. 132-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უმაღლესი საბჭოს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაცციან ჯგუფს, უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, რომლებიც ვალდებული არიან დასმულ შეკითხვას უპასუხონ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებზე

პასუხობენ სამთავრობო საათის დროს. შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას.“.

**36. 137-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 1 მარტისა.“.

**37. 145-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 145.

უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარის მიერ რეგლამენტის სისტემატური და უხეში დარღვევისათვის შეიძლება კენჭისყრაზე დაისვას საკითხი მისთვის ოქმში შეტანით შენიშვნის გამოცხადების შესახებ. საკითხის დასმის უფლება აქვს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაცოან ჯგუფს. გადაწყვეტილება მიიღება დადგენილებით.“.

**მუხლი 2. რეგლამენტის ამოქმედება**

1. ეს რეგლამენტი, გარდა პირველი მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-6–მე-15, 22-ე–24-ე, 29-ე, 30-ე, 33-ე–35-ე და 37-ე პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-6–მე-15, 22-ე–24-ე, 29-ე, 30-ე, 33-ე–35-ე და 37-ე პუნქტები ამოქმედდეს ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი შეკრებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ბათუმი,  
2008 წლის  
№